



Professional Reflection-Oriented Focus on Inquiry-based Learning and Education through Science

PROFILES IBSE სასწავლო მასალები – მიმოხილვა

შეადგინა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის PROFILES-ის გუნდმა – საქართველო



რატომ ტივტივებს წყალში Coca-Cola Zero და იძირება ჩვეულებრივი Coca-Cola?

ბუნებისმეტყველების მოდული –
სპეციალურად ბუნებისმეტყველებისთვის –
VII –IX კლასებისთვის

შემუშავებულია: შტრელერის, ჰოფმანის, ბოლტეს მიერ (2011)

ორგანიზაცია: ბერლინის თავისუფალი უნივერსიტეტი

ადაპტირებულია: მარიკა კაპანაძის, ეკა სლოვინსკისა და PROFILES-ის მონაწილე პედაგოგების მიერ (2013)

ორგანიზაცია: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

ვებ-გვერდი: www.profiles-georgia.iliauni.edu.ge - ელ.ფოსტა:profiles.georgia@gmail.com

მოკლე აღწერა

ამ მოდულში მოსწავლეებს მოუწევთ ისეთი მოვლენის გამოკვლევა, რომელსაც ხვდებიან ყოველდღიურ ცხოვრებაში. კერძოდ, სიმკვრივე, ცურვის პირობები, ქიმიური ნივთიერებების შედგენილობის დაგენა. მოსწავლეებს ექნებათ საშუალება გამოთქვან ვარაუდი და ეს ვარაუდი შეამოწმონ ექსპერიმენტულად. ჩაატარონ გაზომვები, გამოითვალონ და შეადარონ coca-cola Zero-სა და ჩვეულებრივი coca-cola-ს სიმკვრივეები. ასევე, აღმოაჩინონ, თუ რამდენ ნატეხ/კუბ შაქარს შეიცავს 250 მლ coca-cola და იმსჯელონ სასმელის ენერგეტიკულ ღირებულებაზე.

შესაძლებელია, მოსწავლეებს გაუჩნდეთ კითხვები სხვა სასმელებში შაქრის შემცველეობასთან დაკავშირებით, გამოთქვან ვარაუდები, რომლებსაც შეამოწმებენ ექსპერიმენტულად.

SALiS-ის მოდული „Coca-Cola და დიეტური Coca-Cola“ საბოლოოდ წარმოდგენილი „რატომ ტივტივებს წყალში Coca-Cola Zero და იძირება ჩვეულებრივი Coca-Cola?“ ადაპტირებულია VII-IX კლასის მოსწავლეებისთვის. მისი მოდიფიცირება შესაძლებელია კონკრეტული კლასის სასტარტო ცოდნიდან გამომდინარე.



Project funded within the EC FP7 Programme: 5.2.2.1 – SiS-2010-2.2.1
Grant Agreement No.: 266589

Supporting and coordinating actions on innovative methods in science education: teacher training on inquiry based teaching methods on a large scale in Europe





Professional Reflection-Oriented Focus on Inquiry-based Learning and Education through Science

საგანი: ბუნებისმეტყველება/ქიმია/ფიზიკა/ბიოლოგია

კლასი: VII, VIII ან/და IX კლასები

კურიკულუმთან შესაბამისობა: სიმკვრივე, ცურვის პირობები, საკვების ენერგეტიკული ღირებულება.

აქტივობების სახეობა: კითხვაზე პასუხის გასაცემად ვარაუდების გამოთქმა; ვარაუდის

შესამოწმებლად საჭირო ექსპერიმენტის ჩატარება, მონაცემთა აღრიცხვა.

გამოთვლების გაკეთება, გრაფიკის აგება; გამოთვლების შედეგების ანალიზის

საფუძველზე სათანადო შეფასების გაკეთება და დასკვნის გამოტანა. ჯგუფში
მუშაობა;

სავარაუდო დრო: 3-4 გაკვეთილი 45 წუთიან საგაკვეთილო დროში

ზოგადი მიზნები/ კომპეტენციები: შაქრის წყალხსნარის სიმკვრივის შაქრის კუბების რაოდენობაზე დამოკიდებულების გარაფიკის აგება, სითხის სიმკვრივის დამოკიდებულება წყალხსნარის შაქრიანობასთან, ცურვის პირობების ცოდნის გათვალისწინებით coca cola-ს ქილის მდგომარეობა წყალში.

თანდართული ფაილები		
1.	მოსწავლეთა აქტივობები	სცენარი დეტალურად აღწერს აქტივობებს, რომლებიც მოსწავლეებმა უნდა შეასრულონ. ეს არის მოსწავლეებისთვის მისაცემი სამუშაო ინსტრუქციები.
2.	მასწავლებლის გზამკვლევი	აღწერს სწავლების მიდგომებს.

წყაროები:

ეს მასალები აღებულია „სტუდენტთა აქტიური სწავლება ბუნებისმეტყველებაში“ – SALiS-ის სატრუნინგო მასალებიდან (კერძოდ მომზადებულია შტრელერი, ჰოფმანი, & ბოლტე, 2011) რომელიც განხორციელდა – TEMPUS-ის პროექტის ფარგლებში და ადაპტირებულია ილიას უნივერსიტეტის PROFILES სამუშაო ჯგუფის მიერ – PROFILES-ის კონსორციუმის წევრია. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ: <http://salislab.org/>.

შემუშავებულია: შტრელერის - ჰოფმანის - ბოლტეს მიერ (2011)

ორგანიზაცია: ბერლინის თავისუფალი უნივერსიტეტი

ადაპტირებულია: მარიკა კაპანაძის, ევა სლოვინსკისა და PROFILES-ის მონაწილე პედაგოგების მიერ (2013)

ორგანიზაცია: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

ვებ-გვერდი: www.profiles-georgia.iliauni.edu.ge - profiles.georgia@gmail.com





Professional Reflection-Oriented Focus on Inquiry-based Learning and Education through Science

PROFILES IBSE სასწავლო მასალები – მასწავლებლებისათვის შეადგინა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის PROFILES-ის გუნდმა – საქართველო



რატომ ტივტივებს წყალში
Coca-Cola Zero და იძირება
ჩვეულებრივი Coca-Cola?

ბუნებისმეტყველების მოდული –
სპეციალურად ბუნებისმეტყველებისთვის –
VII –IX კლასებისთვის

შემუშავებულია: შტრელერის, ჰოფმანის, ბოლტეს მიერ (2011)

ორგანიზაცია: ბერლინის თავისუფალი უნივერსიტეტი

ადაპტირებულია: მარიკა კაპანაძის, ეკა სლოვინსკისა და PROFILES-ის მონაწილე

პედაგოგების მიერ (2013)

ორგანიზაცია: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

ვებ-გვერდი: www.profiles-georgia.iliauni.edu.ge - ელ.ფოსტა: profiles.georgia@gmail.com

მოდულის შინაარსი

ამ მოდულში მოსწავლეებს მოუწევთ ისეთი მოვლენის გამოკვლევა, რომელსაც ხვდებიან ყოველდღიურ ცხოვრებაში. მათ ექნებათ საშუალება გამოთქვან ვარაუდი და ეს ვარაუდი შეამოწმონ ექსპერიმენტულად. ჩაატარონ გაზომვები, გამოითვალონ და შეადარონ coca-cola Zero-სა და ჩვეულებრივი coca-cola-ს სიმკვრიეები. ასევე, აღმოაჩინონ, თუ რამდენ ნატეხ/კუბ შაქარს შეიცავს 250 მლ coca-cola და იმსჯელონ მის ენერგეტიკულ ღირებულებაზე. შესაძლებელია მოსწავლეებს გაუჩნდეთ კითხვები სხვა სასმელების მიმართაც. გამოთქვან ვარაუდები, რომლებსაც შეამოწმებენ ექსპერიმენტულად.



Project funded within the EC FP7 Programme: 5.2.2.1 – SiS-2010-2.2.1
Grant Agreement No.: 266589

Supporting and coordinating actions on innovative methods in science education: teacher training on inquiry based teaching methods on a large scale in Europe





სურათი 1 – მოსწავლეები ატარებენ კვლევით ექსპერიმენტებს

შემოთავაზებული სწავლების სტრატეგია

1. მოსწავლეებისათვის საკითხის გაცნობა, შესასწავლი პრობლემის დასმა;
2. მუშაობის წარმართვა ისე, რომ მოსწავლეებმა იფიქრონ პრობლემის გადაჭრაზე;
3. მუშაობის წარმართვა ისე, რომ მოსწავლეებმა გამოთქვან ვარაუდები, განიხილონ და მიიღონ გადაწყვეტილებები;
4. მუშაობის წარმართვა ისე, რომ მოსწავლეებმა ივარაუდონ რა დამატებითი ინფორმაცია სჭირდებათ;
5. სიმკვრივის ცენტრის გააზრების საფუძველზე მოსწავლეებმა შეძლონ მოცემული სასმელების და სხვადასხვა კონცენტრაციის შაქრის წყალხსნარის სიმკვრივეთა განსაზღვრა, ხსნარის სიმკვრივის შაქრის კუბიკების რაოდენობასთან დამოკიდებულების გრაფიკის აგება, ექსპერიმენტების საფუძველზე გამარილებელ სასმელებში სავარაუდო შაქრიანობის დადგენა;
6. მოსწავლეებმა შეძლონ ჯგუფში მსჯელობა და დასკვნების გამოტანა.

ეტაპები	სწავლა-სწავლების მიდგომა	სწავლა-სწავლების მონახაზი
1. სცენარი	რეალურ ცხოვრებასთან დაკავშირებული მასალა	1. სცენარის გაცნობა 2. იდეები საკითხის გადასაწყვეტად 3. იმის გააზრება რომ მეცნიერული შეკითხვა პასუხის მისაღებად არის „გაარკვიეთ, შაქრის შემცველობა ხომ არ განაპირობებს ხსნარის სიმძიმეს?“



შემუშავებულია: შტრელერის - ჰოფმანის - ბოლტეს მიერ (2011)
 ორგანიზაცია: შერლინის თავისუფალი უნივერსიტეტი
 ადაპტირებულია: მარიკა კაპანაძეს, ეკა სლოვინსკისა და PROFILES-ის მონაწილე პედაგოგების მიერ (2013)
 ორგანიზაცია: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
 ვებ-გვერდი: www.profiles-georgia.iliauni.edu.ge - ელ.ფოსტა: profiles.georgia@gmail.com






Professional Reflection-Oriented Focus on Inquiry-based Learning and Education through Science

2. კვლევაზე დაფუძნებული პრობლემის გადაჭრა	მასწავლებლის ხელმძღვანელობით, მოსწავლეზე ორიენტირებული მასალა მოიცავს პრობლემის გადაწყვეტას, ბუნებისმეტყველების კონცეპტუალურ სწავლებას (უკუკავშირი - შეფასება).	1. პრობლემის აღწერა. მასწავლებელი უხსნის მოსწავლეებს, გაანალიზონ რომ მოცემულ პირობებში სასმელის განსხვავებული შაქრიანობა განაპირობებს მის სიმკვრივეს. 2. მოსწავლეები აცნობიერებენ, რომ მეცნიერული შეკითხვა დადის შემდეგ კითხვაზე „არსებითად რა განაპირობებს, რომ ნორმალური Coca Cola უფრო მძიმეა, ვიდრე Coca Cola Zero?“ 3. მარტივი გაზომვების საფუძველზე საკალიბრო მუდის აგება და შესაბამისობის მოძებნა
3. მეცნიერული გადაწყვეტილებ ების მიღება	მასწავლებლის ხელმძღვანელობით მოსწავლეზე ორიენტირებული მასალა მოიცავს გადაწყვეტილებების მიღებას (უკუკავშირი-შეფასება).	მონაცემთა ანალიზი და ანალიზის საფუძველზე საბოლოო დასკვნის გაკეთება

საკალიბრო მრუდის მაგალითი



შემუშავებულია: შტრელერის - ჰოფმანის - ბოლტეს მიერ (2011)

ორგანიზაცია: შერლინის თავისუფალი უნივერსიტეტი

ადაპტირებულია: მარიკა კაპანაძეს, ეკა სლოვანისკისა და PROFILES-ის მონაწილე
პედაგოგების მიერ (2013)

ორგანიზაცია: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

ვებ-გვერდი: www.profiles-georgia.iliauni.edu.ge - ელ.ფოსტა: profiles.georgia@gmail.com





Professional Reflection-Oriented Focus on Inquiry-based Learning and Education through Science

შეფასება

მოსალოდნელი შედეგები:

მოსწავლე

- აკავშირებს ნივთიერების სიმკვრივეს მის პრაქტიკულ გამოყენებასთან
- ცდების საფუძველზე მსჯელობს ფიზიკური მოვლენების (მაგ., ნივთიერებათა წყალში გახსნა, ფორმის შეცვლა, აგრეგატული მდგომარეობის შეცვლა) დროს მასის უცვლელობის შესახებ. გამოიტანს სათანადო დასკვნას;
- განსაზღვრავს და აყალიბებს კვლევის მიზანს;
- გამოთქვამს არგუმენტირებულ მოსაზრებას/ვარაუდს;
- განსაზღვრავს კვლევის პირობებს და ჩატარების ეტაპებს;
- იყენებს სათანადო წესებს საკუთარი და სხვათა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.
- მოიძიებს და აანალიზებს შესაბამის ინფორმაციას;
- აწარმოებს დაკვირვებას და/ან გაზომვებს, იღებს სარწმუნო მონაცემებს;
- მოიპოვებს ინფორმაციას არასწორი კვების (მაგ., „სწრაფი კვების“ პროდუქტების გამოყენება) შედეგად მოსალოდნელი დარღვევების შესახებ (მაგ., ავიტამინოზები, ჭარბი წონა);
- კვებით ღირებულებას და ენერგიის შემცველობას, აანალიზებს დაბალანსებული კვებითი რაციონის და თითოეული კომპონენტის მნიშვნელობას ორგანიზმისათვის;

განხილული აქტივობის შეფასების შემოთავაზებული მიდგომა: $X = \text{სწავლების მოსალოდნელი დონე არ არის მიღწეული}, \checkmark = \text{სწავლების მოსალოდნელი დონე მიღწეულია}, \checkmark\checkmark = \text{სწავლების დონე მაღალია, ვიდრე მოსალოდნელი იყო.}$

გთავაზობთ, რომ აღნიშნული აქტივობა შეფასდეს განმავითარებელი შეფასებით - ჯგუფი შეფასდეს შესრულებული სამუშაოთი და კითხვების დასმით. შესაძლებელია შეფასება განხორციელდეს რამოდენიმე გაკვეთილის მსვლელობისას (თითოეულ გაკვეთილზე), ან მთლიანად მოდულისათვის.

ნაწილი A

განმავითარებელი შეფასება გაკვეთილებზე

გაკვეთილი 1

		მოსწავლის შეფასების კრიტერიუმები	ნიშანი (x, \checkmark, \checkmark\checkmark)
1	ვარაუდების გამოთქმა	გამოთქვამს ვარაუდს, თუ რატომ ჩაიძირა Coca Cola და რატომ ტივტივებდა Coca Cola Zero	
2	მარტივი გაზომვების ჩატარება	ატარებს მარტივ გაზომვებს ინსტრუქციის შესაბამისად	
3	მონაცემების აღრიცხვა	აღრიცხავს მონაცემებს ცხრილებში	

შემუშავებულია: შტრელერის - ჰოფმანის - ბოლტეს მიერ (2011)

ორგანიზაცია: შერლინის თავისუფალი უნივერსიტეტი

ადაპტირებულია: მარიკა კაპანაძეს, ეკა სლოვანისკისა და PROFILES-ის მონაწილე პედაგოგების მიერ (2013)

ორგანიზაცია: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

ვებ-გვერდი: www.profiles-georgia.iliauni.edu.ge - ელ.ფოსტა: profiles.georgia@gmail.com





Professional Reflection-Oriented Focus on Inquiry-based Learning and Education through Science

გაცემილი 2

		მოსწავლის შეფასების კრიტერიუმები	ნიშანი (x, ✓, ✓✓)
1	სიმკვრივის გამოთვლა	ითვლის ხსნარის და Coca Cola და Coca Cola Zero -ს სიმკვრივეებს, გამოთვლის შედეგები შეაქვს ცხრილში	
2	საკალიბრო მრუდის აგება	აგებს საკალიბრო მრუდს	
3	მრუდის ანალიზი	აანალიზებს მრუდს და დააქვს Coca Cola და Coca Cola Zero -ს შესაბამისი სიმკვრივეები	

გაცემილი 3/4

		მოსწავლის შეფასების კრიტერიუმები	ნიშანი (x, ✓, ✓✓)
1	არგუმენტირებული მსჯელობა	განსაზღვრავს არის თუ არა ხსნარის სიმძიმე განაპირობებული შაქრის შემცველობით	
2	ცურვის პირობების განსაზღვრა	განსაზღვრავს სხეულის ცურვის პირობებს	
3	მიღებული შედეგების პრეზენტაცია	წარმოადგენს მიღებულ შედეგებს, აკეთებს პრეზენტაციას	

ნაწილი B

განმავითარებელი შეფასება მოდულისთვის
შეფასების კრიტერიუმები დაფუძნებული მასწავლებლის სტრატეგიაზე

		მოსწავლის შეფასების კრიტერიუმები	ნიშანი (x, ✓, ✓✓)
1	გაზომვების ჩატარება, საკალიბრო მრუდის აგება	ატარებს გაზომვებს, აგებს საკალიბრო მრუდს	
2	მრუდზე შესაბამისობების მოძებნა	პოულობს Coca Cola და Coca Cola Zero -ს შესაბამისი სიმკვრივეებს საკალიბრო მრუდზე	
3	დასკვნების გამოტანა, ცურვის პირობების განსაზღვრა/ქიმიური ნივთიერების	აკეთებს შესაფერის დასკვნებს, აყალიბებს სხეულის ცურვის პირობებს/ადგენს ქიმიური ნივთიერების შემადგენლობას/განსაზღვრავს საკეტი პროდუქტების შედგენილობის	



შემუშავებულია: შტრელერის - ჰოფმანის - ბოლტეს მიერ (2011)

ორგანიზაცია: შერლინის თავისუფალი უნივერსიტეტი

ადაპტირებულია: მარიკა კაპანაძეს, ეკა სლოვანსკისა და PROFILES-ის მონაწილე პედაგოგების მიერ (2013)

ორგანიზაცია: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

ვებ-გვერდი: www.profiles-georgia.iliauni.edu.ge - ელ.ფოსტა: profiles.georgia@gmail.com





Professional Reflection-Oriented Focus on Inquiry-based Learning and Education through Science

	<p>შემადგენლობის დადგენა/საკვები პროდუქტების შედგენილობის მნიშვნელობის განსაზღვრა ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვაში.</p>	<p>მნიშვნელობას ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვაში.</p>	
--	---	---	--

შეფასება დაფუძნებული მასწავლებლის დაკვირვებაზე

		მოსწავლის შეფასების კრიტერიუმები	ნიშანი (x, ✓, ✓✓)
	თანამშრომლობა ჯგუფში	<p>თანამშრომლობს ჯგუფის სხვა წევრებთან და მთლიანად ჩართულია ჯგუფის სამუშაოში</p> <p>წარმოაჩენს ლიდერის უნარებს - უძლვება ჯგუფს შემოქმედებითად და ეხმარება სხვა საჭიროებებში; აჯამებს შედეგებს</p> <p>იჩენს შემწყნარებლობას; მხარს უჭერს ჯგუფის სხვა წევრებს.</p>	





Professional Reflection-Oriented Focus on Inquiry-based Learning and Education through Science

მასწავლებლის დამხმარე მასალა

თეორიული საკითხები, რომლებზეც უნდა გამახვილდეს ყურადღება მოდულის დანერგვისას/კვლევის პროცესში:

1. სხეულის სიმკვრივე
2. სიმკვრივის გამოსათვლელი ფორმულა $\rho=m/V$
3. სხეულის ცურვის პირობები:
 - სხეული იძირება სითხეში, თუ $\rho_{\text{სითხ}} < \rho_{\text{სხეული}}$.
 - სხეული ცურვს სითხეში, თუ $\rho_{\text{სითხ}} = \rho_{\text{სხეული}}$.
 - სხეული ტივტივებს სითხის ზედაპირზე, თუ $\rho_{\text{სითხ}} > \rho_{\text{სხეული}}$.
4. საკვები პროდუქტების შედგენილობის მნიშვნელობის განსაზღვრა ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვაში
5. არასწორი კვების (მაგ., „სწრაფი კვების“ პროდუქტების გამოყენება) შედეგად მოსალოდნელი დარღვევები (მაგ., ავიტამინოზები, ჭარბი წონა).

დამატებითი მასალა, რომელიც შესაძლოა მოიძიონ მოსწავლეებმა, ან წარადგინოს მასწავლებელმა.

ინფორმაცია -1

იცი თუ არა, რომ...

კოკა-კოლას წარმოებაში თავდაპირველად გამოიყენებოდა კოკაინი, სწორედ აქედან წარმოსდგება მისი სახელი. კოკა-კოლას მირითადი მომხმარებლები იყვნენ ჯარისკაცები, რომლებიც იბრძოდნენ ომში. კოკაინი რა თქმა უნდა ეხმარებოდა მათ, რომ შეენარჩუნებინათ მხნეობა. მაგრამ ბევრი ჯარისკაცი, რომელიც დაბრუნდა სახლში მასზე დამოკიდებული აღმოჩნდა. ისინი აღმოჩნდნენ პრობლემის წინაშე, როდესაც გადაწყვიტეს მკურნალობა, რადგან ადიქცია მაშინ არ წარმოადგენდა ისეთ პრობლემას, როგორც ახლა. როდესაც კოკა-კოლის უარყოფითი ეფექტი იქნა აღმოჩენილი, მისი მწარმოებელი კომპანია იძულებული გახდა შეცვალა „საიდუმლო ფორმულა“. მათ კოკაინი ჩაანაცვლეს კოფეინით.

მას შემდეგ, რაც გაირკვა შაქრის უარყოფითი გავლენის შესახებ ორგანიზმზე, კომპანიამ დაიწყო ფიქრი დაბალკალორიული სასმელის შექმნაზე. ამ მიზნით დიეტური კოლა პირველად შეიქმნა 1982 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში და გახდა სწრაფად გაყიდვადი პროდუქტი. მასში გამოყენებულია დამატებობლად ასპარტამი. დიეტური კოლა მაინც შეიცავს რაღაც რაოდენობით საქარის მისი შენახვის ვადის გახანგრძლივების მიზნით. მაგრამ დაახლოებით 92-მდე განსხვავებული გვერდითი ეფექტი არის დაკავშირებული ასპარტამის მოხმარებასთან, როგორიცაა ტვინის სიმსივნეები, ბავშვის დაბადების დეფექტები, დიაბეტები, ემოციური დარღვევები და ეპილეფსია.

2005 წელს კომპანიამ დაიწყო Zero-ს წარმოება, რომელიც არ შეიცავს შაქარს, მაგრამ შეიცავს კოფეინს. კოფეინის შემცველი სასმელები იწვევს ინსომნიას, მაღალ წნევას, ქოლესტერინის დონის აწევას, ვიტამინებისა და მინერალების დაშლას და შესაძლოა სიმსივნის ზოგიერთ ფორმასაც.

ინფორმაცია-2

ისტორიული ცნობები:

დაახლოებით 100 წლის წინ ფარმაცევტმა ჯონ პემბერტონმა კოკაინის შემცველი კოკას ფოთლებისგან და კოფეინის შემადგენლობის მქონე კოლას კავლისგან გამოიგონა კოკა-კოლა. პირველ წელს „კოკა-კოლას“ შემოსავალი იყო 50 აშშ. დოლარი, ხოლო დანახარჯი - 70 აშშ. დოლარი. 1902 წელს „კოკა-კოლას“ ბიუჯეტი უკვე

120 000 აშშ. დოლარს შეადეგნდა და მისი ცნობადობა საკმაოდ მაღალი იყო. 1915 წელს „კოკა-კოლას“ კლასიკური ბოთლის პირველი დიზაინი შეიქმნა. 20-იან წლებში „კოკა-კოლას“ კონკურენტები არ

შემუშავებულია: შტრელერის - ჰოფმანის - ბოლტეს მიერ (2011)

ორგანიზაცია: შერლინის თავისუფალი უნივერსიტეტი

ადაპტირებულია: მარიკა კაპანაძეს, ეკა სლოვანსკისა და PROFILES-ის მონაწილე პედაგოგების მიერ (2013)

ორგანიზაცია: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

ვებ-გვერდი: www.profiles-georgia.iliauni.edu.ge - ელ.ფოსტა: profiles.georgia@gmail.com





Professional Reflection-Oriented Focus on Inquiry-based Learning and Education through Science

ჰესი-კოლა დაიბადა 1898 წელს, კაროლინაში. მას საკმაოდ გრძელი და საინტერესო ისტორია აქვს. ეს სასმელი შექმნა კალებ ბრედჰემმა (Caleb Bradham), რომელიც გახლდათ ფარმაცევტი და აფთიაქის მეპატრონე ნიუ-ბერნში (New-Bern), ჩრდილოეთ კაროლინაში.

1898 წლის ზაფხულში, როგორც წესი, ძალაში ცხელოდა ნიუ-ბერნში. ამიტომ ახალგაზრდა ფარმაცევტმა, კალებ ბრედჰემმა თავის მომხმარებლებს ახალი სასმელი შესთავაზა. რომელიც სხვადასხვა დანიშნულების გარდა, დისპეფსის სამურნალოდაც გამოიყენებოდა. ის შესდგებოდა სხვადასხვა სანელებლებისაგან, წვენებისგან და სიროფისგან. ასე მოევლინა ქვეყნიერებას გამაგრილებელი სასმელი ჰესი-კოლა (Pepsi-Cola).

ინფორმაცია - 3

რა ხდება შენს ორგანიზმში, როდესაც სვამ კოლას?

ექიმები გვაფრთხილებენ არ დალიოთ კოლა, თუ გინდათ იყოთ ჯანმრთელები. ერთი რამ, რაც დაზუსტებით არის ცნობილი გაზიანი უალკონალო სასმელები ანადგურებს ორგანიზმს. რა ხდება ამ დროს ადამიანის ორგანიზმში?

მირითადი პრობლემა არის შაქარი. საუბედუროდ, საკვების მწარმოებელ და შაქრის მწარმოებელ ორგანიზაციებს არ უნდათ, რომ ხალხი იყოს ინფორმირებული ამის შესახებ. დიეტოლოგებიც, რომლებიც ფინანსურ მხარდაჭერას იღებენ შაქრისა და შაქრიანი პროდუქტების მწარმოებლებისაგან, თავს არიდებენ სიმართლის თქმას.

ნახე რა ხდება შენს ორგანიზმში კოლას დალევის შემდეგ:

- დალევიდან პირველი 10 წუთის განმავლობაში შაქარი უტევს ორგანიზმს.
- 20 წუთში: თქვენ სისხლში იზრდება შაქრის რაოდენობა, რაც იწვევს ინსულინის გამოყოფას. ინსულინი აიძულებს შაქარს, რომ გარდაიქმნას ცხიმად.
- 40 წუთში: კოლეინი უკვე სრულყოფილად არის შეთვისებული. თვალის გუგა ფართოვდება, იზრდება სისხლის წნევა. ამ დროს ადენოზინის რეცეპტორები ტვინში ბლოკირდება, რაც აფერხებს ჩაძინებას.
- 45 წუთში: იზრდება დოფამინის რაოდენობა, რაც იწვევს ტვინში სიამოვნების ცენტრების სტიმულაციას. ფაქტიურად, ამ დროს ისეთივე პროცესები ხდება, როგორც ჰეროინის მოხმარებისას.
- 60 წუთში: ფოსფორმჟავა იკავშირებს კალციუმს, მაგნიუმს და თუთიას ნაწლავებში და აქცევს მათ მეტაბოლიტებად. ამას აკეთებს ასევე მაღალი დოზა შაქარი და ხელოვნური დამატებობლები. ისინი ზრდიან შარდში კალციუმის რაოდენობას. და მაშასადამე თქვენ რჩებით კალციუმის, მაგნიუმის, თუთიის გარეშე, რომელიც ასე აუცილებელია თქვენი ძვლებისა და კბილებისათვის და ასევე ნატრიუმის, ელექტროლიტებისა და წყლის გარეშე.
- შაქარი ზრდის ინსულინის დონეს, რასაც მოსდევს სისხლის წნევის ზრდა, ქოლესტერინის დონის აწევა, გულის დაავადებები, დიაბეტი, წონაში მატება და სხვა უარყოფითი ეფექტები.

შემუშავებულია: შტრელერის - ჰოფმანის - ბოლტეს მიერ (2011)

ორგანიზაცია: შერლინის თავისუფალი უნივერსიტეტი

ადაპტირებულია: მარიკა კაპანაძეს, ეკა სლოვანსკისა და PROFILES-ის მონაწილე

პედაგოგების მიერ (2013)

ორგანიზაცია: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

ვებ-გვერდი: www.profiles-georgia.iliauni.edu.ge - ელ.ფოსტა: profiles.georgia@gmail.com





Professional Reflection-Oriented Focus on Inquiry-based Learning and Education through Science

ერთ-ერთი ბრიტანული სამედიცინო ჟურნალის გამოკვლევების თანახმად, 12 წლის ბავშვებში კოლას რეგულარული მოხმარება იწვევს ჭარბწონიანობის მნიშვნელოვნად მატებას არამომხმარებლებთან შედარებით. სიმსუქნის რისკი დაახლოებით 60%-ია.

სხვა მონაცემების თანახმად, დიაბეტის განვითარების რისკი იზრდება 85 %-ით.

სოდა, როგორც ცნობილია იწვევს დნმ-ს დაზიანებას. შესაძლოა ამ დროს თქვენი დნმ-ს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი უბნების დავარგვა, რასაც შესაძლოა მოჰყვეს ციროზის ან პარკინსონის განვითარება.

ინფორმაცია - 4

ასჯერ გაგონილს ერთხელ ნანახი სჯობია.

- მოგეხსენებათ, ასჯერ გაგონილს ერთხელ ნანახი სჯობს. ამიტომ გრამებისა და პროცენტების ლაბირინთებში რომ არ დაიბნეთ, უბრალოდ, წარმოიდგინეთ მოზრდილ ჭიქაში გახსნილი 14 ჩას კოვზი შაქარი. სწორედ ამდენს შეიცავს ნახევარი ლიტრი კოკა-კოლა, ხშირად ერთ ჯერზე რომ გამოვუყვანთ ხოლმე წირვას. ეს კი თითქმის 300 კალორიაა, ანუ დაახლოებით 6 ვაშლი, 200 გ ქათმის ხორცი ან 3 კგ კომბოსტო. ბუნებრივია, პირველი ვერც დაგანაყრებთ, ვერც საკვები ნივთიერებების, ვიტამინებისა თუ მინერალების დანაკლისს შეგივსებთ, მაგრამ ზედმეტი კალორიები ნამდვილად დაგროვდება ორგაფანიზმში. გასუქებაში, რასაკვირველია, მხოლოდ ლიმონათსა თუ კოკა-კოლას ვერ დავდებთ ბრალს. ფაქტი ის არის, რომ ჭარბწონიანთა რიცხვთან ერთად გაზიარი გამაგრილებელი სასმელების მომხმარებელთა რაოდენობაც კატასტროფულად იზრდება. ამერიკული სტატისტიკით, უკანასკნელი 40 წლის მანძილზე გაზიარი ტკბილი სასმელების გაყიდვამ ოთხჯერ, თინეიჯერებში კი ლამას ექვსჯერ მოიმატა. ბავშვები მათი ყველაზე აქტიური და ერთგული მომხმარებლები არიან. საერთოდ კი ამერიკელები ყოველწლიურად 54 მილიარდ დოლარს ხარჯავენ 53 მილიარდი ლიტრი კოკა კოლას, პეპსის, ცივი ჩაისა და მსგავსი სასმელების შესაძენად. მეცნიერებმა გამოთვალეს, რომ დღეში 330 მლ ტკბილი სასმელი თვეში დაახლოებით 300გ-ს გვმატებს. მეცნიერთა მეორე ჯგუფი კი 8 წლის განმავლობაში 50 000 მედდას “ლიმონათურ” ჩვევებს აკვირდებოდა და თან მათ წონასა და დიაბეტის რისკსა თუ განვითარებას აღნუსხავდა, შედეგად კი დაასკვნა, რომ დღეში ერთი ჭიქა ან მეტი ტკბილი გამაგრილებელი სასმლის მსმელებს დიაბეტის ჩამოყალიბების 80%-ით მეტი საფრთხე ემუქრებათ, ვიდრე მათ, ვისაც ასეთი ნუგბარი თვეში ერთხელ ან კიდევ უფრო იშვიათად ახსენდება. გაითვალისწინეთ: არც გამაგრილებელი სასმელების ე.წ. მსუბუქ (Light) ვარიანტებზე გადასვლაა გამოსავალი. მხოლოდ შაქრის გამორიცხვა სასმელს სასარგებლოდ ვერ აქცევს – ის მაინც განაგრძობს ორგანიზმის მომარაგებას შედარებით ნაკლები, მაგრამ მაინც ფუჭი კალორიებით.
- ტკბილი სასმელებისა და კარიესის კავშირი კარგა ხანია დამტკიცებულია. ლიმონათებში საკმაოდ ბევრი მარტივი ნახშირწყალია: გლუკოზა, ფრუქტოზა თუ საქაროზა. პირის ღრუში არსებული ბაქტერიები მათგან მჟავას წარმოქმნიან, რაც კბილის ღრმულების გაჩენას უწყობს ხელს. ასე რომ, რაც უფრო მეტს მიირთმევთ, მით მეტია კბილების დაზიანების რისკი. ყველა სიკეთესთან ერთად, ბევრი საყვარელი სასმელი მჟავა გარემოს ქმნის. ზოგიერთი მათგანის pH 3-ზე ნაკლებია.

შემუშავებულია: შტრელერის - ჰოფმანის - ბოლტეს მიერ (2011)

ორგანიზაცია: შერლინის თავისუფალი უნივერსიტეტი

ადაპტირებულია: მარიკა კაპანაძეს, ეკა სლოვანსკისა და PROFILES-ის მონაწილე

პედაგოგების მიერ (2013)

ორგანიზაცია: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

ვებ-გვერდი: www.profiles-georgia.iliauni.edu.ge - ელ.ფოსტა: profiles.georgia@gmail.com





Professional Reflection-Oriented Focus on Inquiry-based Learning and Education through Science

გამოყენებული ლიტერატურა/წყაროები:

„სტუდენტთა აქტიური სწავლება ბუნებისმეტყველებაში“ – SALiS- გამოქვეყნებული
მასალები, <http://salislab.org/>.

წყაროები:

ეს მასალები აღებულია „სტუდენტთა აქტიური სწავლება ბუნებისმეტყველებაში“ – SALiS-ის
სატრენინგო მასალებიდან (კერძოდ, მომზადებულია შტრელერის, ჰოფმანის, & ბოლტეს
მიერ, 2011), რომელიც განხორციელდა – TEMPUS-ის პროექტის ფარგლებში და
ადაპტირებულია ილიას უნივერსიტეტის PROFILES სამუშაო ჯგუფის მიერ – PROFILES-ის
კონსორციუმის წევრია. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ: <http://salislab.org/>.

შემუშავებულია: შტრელერის - ჰოფმანის - ბოლტეს მიერ (2011)

ორგანიზაცია: შტრელინის თავისუფალი უნივერსიტეტი

ადაპტირებულია: მარიკა კაპანაძეს, ეკა სლოვონსკისა და PROFILES-ის მონაწილე
პედაგოგების მიერ (2013)

ორგანიზაცია: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

ვებ-გვერდი: www.profiles-georgia.iliauni.edu.ge - ელ.ფოსტა: profiles.georgia@gmail.com





Professional Reflection-Oriented Focus on Inquiry-based Learning and Education through Science

PROFILES IBSE სასწავლო მასალები – მოსწავლეებისათვის შეადგინა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის PROFILES-ის გუნდმა – საქართველო



რატომ ტივტივებს წყალში Coca-Cola Zero და იძირება ჩვეულებრივი Coca-Cola?

შემუშავებულია: შტრელერის, ჰოფმანის, ბოლტეს მიერ (2011)

ორგანიზაცია: ბერლინის თავისუფალი უნივერსიტეტი

ადაპტირებულია: მარიკა კაპანაძის, ეკა სლოვინსკისა და PROFILES-ის მონაწილე პედაგოგების მიერ (2013)

ორგანიზაცია: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

ვებ-გვერდი: www.profiles-georgia.iliauni.edu.ge - ელ.ფოსტა: profiles.georgia@gmail.com

აღწერა

ამ მოდულში თქვენ მოგიწევთ ისეთი მოვლენის გამოკვლევა, რომელსაც ხვდებით ყოველდღიურ ცხოვრებაში. თქვენ გექნებათ საშუალება გამოთქვათ ვარაუდი და ეს ვარაუდი შეამოწმოთ ექსპერიმენტულად. წამოდგენილი სამუშაო ფურცლები დაგეხმარებათ სამუშაოს წარმართვაში.



Project funded within the EC FP7 Programme: 5.2.2.1 – SiS-2010-2.2.1
Grant Agreement No.: 266589

Supporting and coordinating actions on innovative methods in science education: teacher training on inquiry based teaching methods on a large scale in Europe





Professional Reflection-Oriented Focus on Inquiry-based Learning and Education through Science

ეს სამუშაო ფურცელი ეკუთვნის:

რატომ ტივტივებს წყალში Coca-Cola Zero და იძირება ჩვეულებრივი Coca-Cola?

1. სიტუაციის მოკლე აღწერა:

ზაფხულის დადგომისთანავე მოსწავლეები წავიდნენ ლაშქრობაზე. ადგილზე მისვლისას აღმოაჩინეს, რომ მათ მიერ წაღებული გამაგრილებელი სასმელი Coca Cola-Zero და Coca-Cola იყო თბილი, გადაწყვიტეს იქვე მდინარეში ჩაეციებინათ. მდინარის ნაპირას ქვებით დააგუბეს წყალი და ჩააწყეს Coca-Cola Zero და Coca-Cola -ს თუნუქის ქილები.

ბავშვები გაოცდნენ, როდესაც დაინახეს, რომ მათ მიერ ჩალაგებული ქილებიდან ზოგიერთი ჩაიძირა, ხოლო ნაწილი ტივტივებდა წყალში.

შემუშავებულია: შტრელერის - ჰოფმანის - ბოლტეს მიერ (2011)

ორგანიზაცია: შერლინის თავისუფალი უნივერსიტეტი

ადაპტირებულია: მარიკა კაპანაძეს, ეკა სლოვანსკისა და PROFILES-ის მონაწილე პედაგოგების მიერ (2013)

ორგანიზაცია: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

ვებ-გვერდი: www.profiles-georgia.iliauni.edu.ge - ელ.ფოსტა: profiles.georgia@gmail.com





Professional Reflection-Oriented Focus on Inquiry-based Learning and Education through Science

2. ექსპერიმენტი

რამ გამოიწვია ერთნაირი მოცულობის ქილებიდან Coca Cola Zero - ს ტივტივი და ჩვეულებრივი Coca Cola -ს ჩაძირვა?

მოსწავლებმა გამოთქვეს ვარაუდი: სასმელების განსახვავებული სიმძიმის მიზეზი ხსნარში შაქრის შემცველობას დაუკავშირეს

ჩაატარეთ ექსპერიმენტი რომელაც დააადასტურეთ ან უარყოფთ ამოთქმულ ვარაუდს

ექსპერიმენტისთვის საჭირო მასალა:


7 ცალი ჭიქა; წვირი (ხსნარში შაქრის კუბის გასახსნელად); შაქრის კუბები; წყალი; სასწორი; Coca Cola Zero და Coca Cola; მენზურა; მარკერი.

პროცედურა:

I ეტაპი

1. ექსპერიმენტის დაწყებამდე დანომრეთ ჭიქები (N1, N2, ..., N5);
2. აწონეთ თითოეული ცარიელი ჭიქა და ჩაინიშნეთ მასა;
3. თითოეულ ჭიქაში ჩაასხით 250 მლ. წყალი;
4. ჭიქებში მოათავსეთ სხვადასხვა რაოდენობის შაქრის კუბები, გარდა N1 ჭიქისა (ეს ჭიქა დატოვეთ მხოლოდ წყლით). ჩაინიშნეთ რომელ ჭიქაში რამდენ კუბს მოათავსებთ;
5. მოურიეთ კარგად შაქრის გადნობამდე. თითოეული ჭიქა აწონეთ სასწორზე და ჩაინიშნეთ მასა;
6. გაზომეთ ხსნარის მოცულობა ცილინდრით თითოეული ჭიქისთვის;
7. გამოთვალეთ სიმკვრივე თითოეულ ჭიქაში მოთავსებული ხსნარისათვის;
8. მონაცემები აღრიცხეთ ცხრილში N1.






Professional Reflection-Oriented Focus on Inquiry-based Learning and Education through Science

ცხრილი N 1

ჭიქის N	შაქრის კუბების რაოდენობა	ცარიელი ჭიქის მასა (გ)	ჭიქის მასა ხსნარიანად (გ)	ხსნარის მასა (გ)	ხსნარის მოცულობა (სმ³)	ხსნარის სიმკვრივე (გ/სმ³)
1	0					
2						
3						
4						
5						

9. ააგეთ ხსნარის სიმკვრივეთა შაქრის კუბების რაოდენობაზე
დამოკიდებულების გრაფიკი (საკალიბრო მრუდი). შეგიძლიათ გამოიყენოთ
excell-ის სპეციალური პროგრამა



შემუშავებულია: შტრელერის - ჰოფმანის - ბოლტეს მიერ (2011)

ორგანიზაცია: ბერლინის თავისუფალი უნივერსიტეტი

ადაპტირებულია: მარიკა კაპანაძეს, ეკა სლოვანსკისა და PROFILES-ის მონაწილე
პედაგოგების მიერ (2013)

ორგანიზაცია: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

ვებ-გვერდი: www.profiles-georgia.iliauni.edu.ge - ელ.ფოსტა: profiles.georgia@gmail.com





II ეტაპი

1. აწონეთ თითოეული ცარიელი ჭიქა და ჩაინიშნეთ მასა;
2. ჩაასხით 250 მლ Coca-Cola და 250 მლ Coca-Cola Zero სხვადასხვა ჭიქაში და აწონეთ;
3. განსაზღვრეთ მათი სიმკვრივეები და მონაცემები აღრიცხეთ ცხრილში N2.

ცხრილი #2

	ხსნარის მოცულობა (სმ ³)	ცარიელი ჭიქის მასა (გ)	ჭიქის მასა ხსნარიანად (გ)	ხსნარის მასა (გ)	ხსნარის სიმკვრივე (გ/სმ ³)
Coca-Cola	250				
Coca-Cola Zero	250				

III ეტაპი

1. საკალიბრო მრუდზე მოძებნეთ Coca-Cola და Coca-Cola Zero-ს ხსნარების სიმკვრივის შესაბამისი წერტილები.
2. რა დასკვნეს დაკეტბთ Coca-Cola და Coca-Cola Zero-ში შაქრის რაოდენობის შემცველობასთან დაკავშირებით.
3. დაუკავშირეთ მიღებული შედეგი ლაშქრობაზე გამოთქმულ ვარაუდს და ახსენით, რატომ ტივტივებდა წყალში Coca-Cola Zero და ჩაიძირა ჩვეულებრივი Coca Cola.
4. იმსჯელეთ საკვების ენერგეტიკული ღირებულებაზე და დაბალანსებული კვების მნიშვნელობაზე.